

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №58

2025 წლის 28 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, III, №33, 31/03/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

1. 156-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„156	200 კგ-ზე მეტი ოდენობის ხორბლის ფქვილის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმება (გარდა ხორბლის ფქვილზე გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ისა ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)		ყოველ 1 კგ-ზე 0.3 ლარი“.
------	--	--	--------------------------

2. 157-ე და 158-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„157	200 კგ-ზე მეტი ოდენობის სეს ესნ-ის 1003 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში ან/და 1104 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული ქერის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმება (გარდა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ისა ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)		ყოველ 1 კგ-ზე 0.2 ლარი
158	200 კგ-ზე მეტი ოდენობის სეს ესნ-ის 2302 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული ქათოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმება (გარდა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ისა ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)		ყოველ 1 კგ-ზე 0.2 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 მარტიდან და ძალაშია 2025 წლის 1 აპრილამდე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

